დანართი №1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი

მუხლი 1.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

CN=IMG x ITL x C x K, სადაც:

1. CN – არის 1 $მ^2$ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

2. IMG – არის ოზურგეთის მაკრომდებარეობის ინდექსი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.52 ლარს;

3. ITL – არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი:

ა) ქალაქის ცენტრალურ ზონაში – 1.2;

ბ) ქალაქი შუალედურ ზონაში – 1.0;

გ) ქალაქის პერიფერიულ ზონაში – 0.7;

4. C – არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 1$მ^2$-ზე დადგენილი წლიური გადასახადის საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

5. K – არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის:

ა) ქალაქის ცენტრალურ ზონაში 50-ს;

ბ) ქალაქის შუალედური ზონისათვის 30-ს;

გ) ქალაქის პერიფერიული ზონისთვის 25-ს.

მუხლი 2.

ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს შემდეგი სახით:

№	ზონა	IMG	ITL	C	K	CN (ლარი)
1	ქალაქის ცენტრალური	0.52	1.2	0.24	50	7.4880
2	ქალაქის შუალედური	0.52	1.0	0.24	30	3.744
3	ქალაქის პერიფერიული	0.52	0.7	0.24	25	2.1840

მუხლი 3.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში 1$მ^2$ მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქ. ოზურგეთის შუალედური ზონისათვის დადგენილი მაჩვენებლის 30%-ის ოდენობით და შეადგენს 1.12 ლარს, ხოლო დაბისათვის ქ. ოზურგეთის შუალედური ზონისათვის დადგენილი მაჩვენებლის 50% და შეადგენს 1.87 ლარს.

მუხლი 4.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში 1$მ^2$ მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქ. ოზურგეთის შუალედური ზონისათვის დადგენილი მაჩვენებლის 25%-ის ოდენობით და შეადგენს 0.936 ლარს.

მუხლი 5.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქ. ოზურგეთის შუალედური ზონისათვის დადგენილი მაჩვენებლის 50%-ის ოდენობით. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 და მე-4 მუხლებით დადგენილი ფასები.

მუხლი 6.

,,ურეკი-შეკვეთილისთვის სარეკრეაციო ტერიტორიის სტატუსის მინიჭებისა და საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის №273 დადგენილებით განსაზღვრული სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქალაქ ოზურგეთის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 6-მაგი ოდენობით და შეადგენს 22.46 ლარს. ამ შემთვევაში არ გამოიყენება მე-3 მუხლში აღნიშნული წესი.